# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 19-76

„28" ივლისი 2015 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

# ფუნქციური ზონები



# განმარტებითი ბარათი

## „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისდამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის№20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (11 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 11 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტუსკიას ქ. #25, იონა ტუსკიას ქ. #25ბ, ტეხურის ქ. #34, ნოდარ ანდღულაძის ქ. #12, ტუსკიას ქ. #25ა (ნაკვეთი #15/12), ტეხურის ქ. #34–ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.10.17.015.001, 01.10.17.015.011, 01.10.17.015.009, 01.10.17.015.008, 01.10.17.015.012, 01.10.17.015.007), (1742, 9670 და 8344კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონას, საცხოვრებელი ზონა 6-სა დასატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.

ზოგადი საცხოვრებელი ზონაიცვლებასაცხოვრებელი ზონა 6-ით (1742 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1–ით (9670 კვ.მ.)საცხოვრებელი ზონა 6 (8344 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №18), მოქ. თ. აფრიდონიძე, არქიტექტურის სამსახური. AR1297788.

**2. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ზურგოვანში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.014.624–ის მიდმებარედ), (2264, 3085, 8029, 731, 431, და 1826კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 3-ს, საცხოვრებელი ზონა 5-ს, სპეციალურ ზონა 1–ს, სარეკრეაციო ზონა 2–სა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.**

საცხოვრებელი ზონა 5იცვლებასატრანსპორტო ზონა 1–ით(2264 კვ.მ.),საცხოვრებელი ზონა 3-ით (731 კვ.მ.)და სარეკრეაციო ზონა 2–ით (431 კვ.მ.) , სპეციალური ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით (3085 კვ.მ.), საცხოვრებელი ზონა 3–ით (8029 კვ.მ.) დასარეკრეაციო ზონა 2–ით (1826 კვ.მ.)("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №28), მოქ. ი. მურღულია. AR1312689.

**3. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი #23/042), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.12.023.050), მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (მათ შორის საცხოვრებელი), (1742კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სპეციალურ ზონა 1-სა დასაზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-სშორის.**

სპეციალური ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №28), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. AR1322857, №07/8335–13.

**4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის(საკადასტრო კოდი: #01.72.14.043.215), (349 და 968 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 5-სა დასაცხოვრებელი ზონა 3-სშორის.**

საცხოვრებელი ზონა 5 (968 კვ.მ.) იცვლება საცხოვრებელი ზონა 3–ით, საცხოვრებელი ზონა 3 (349 კვ.მ.) იცვლება საცხოვრებელი ზონა 5–ით("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №28), მოქ. თ. აბესაძე. AR1322105.

**5. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის აგარაკები, ვარდისუბნის #64, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #72.13.30.138), (181746, 282 და 9426 კვ. მ)**

დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა 2–სა დასატრანსპორტო ზონა 1-სშორის.

საცხოვრებელი ზონა 1 (181746 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 2 (9426 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით, სატრანსპორტო ზონა 1 (282კვ.მ.) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №28), მოქ. არ. ნავერიანი, არქიტექტურის სამსახური. AR1322856.

6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილია ჭავავაძის გამზირის #21ა, (ნაკვეთი #11/084), ჭავჭავაძის გამზირის #21ა, ილ. ჭავჭავაძის გამზირის #21–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.14.14.011.084, 01.14.14.011.033, 01.14.14.011.154), (612 და 55 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციოზონა 2-ს, საცხოვრებელი ზონა 5-სა დასაზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1-სშორის.

საცხოვრებელი ზონა 5 (612 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 2 (55 კვ.მ.) იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №29), მოქ. დ. ლოსაბერიძე. AR1320581.

7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასალის ქ. #16–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.18.05.002.006),(2260 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა დასაზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-სშორის.

სატრანსპორტო ზონა 1იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №29), მოქ. გ. ლიპარტია. AR1322910.

8. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირის #232–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.19.35.001.093, 01.19.35.001.077, 01.19.35.001.075), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით,(4656 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა დასარეკრეაციო ზონა 2-სშორის.

სარეკრეაციო ზონა 1იცვლება სარეკრეაციო ზონა 2–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №29), მოქ. ვ. მეგრელიშვილი. AR1313256.

9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთი, ე.წ. "ვაშლის ბაღი"-ის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.20.01.093.140),(119 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა დასაცხოვრებელი ზონა 1-სშორის.

სატრანსპორტო ზონა 1იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №29), მოქ. დ. ჩხაიძე. AR1314923.

**10. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #72.13.03.088–ის მიმდებარედ), დაკანონების მიზნით, (4903, 556 და 50 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა 3–სა დასატრანსპორტო ზონა 1-სშორის.**

საცხოვრებელი ზონა 1 (4903 კვ.მ.) და სარეკრეაციო ზონა 2 (50 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით, სატრანსპორტო ზონა 1 (556კვ.მ.) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №29), მოქ. ა. გვილავა, არქიტექტურის სამსახური. AR1314936.

**11. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #81.05.06.455) შენობა–ნაგებობაზე მიშენება-დაშენების მიზნით, (462 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სა დასაცხოვრებელი ზონა 1-სშორის.**

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №29), მოქ. კ. ფაშაევი. AR1316488.